პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ სექტემბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული წილის საკუთრებაში გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს საკუთრებაში გადაცემული არამატერიალურ ქონებრივი სიკეთის „შპს „ლამინი“-სათვის (ს/კ 445533469) 49 წლის ვადით მართვის უფლებით, ხოლო აღნიშნული საზოგადოების კაპიტალიდან გამოტანილი, ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 72626,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან და მასზე განთავსებული 2889,7 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობებიდან (ს/კ 05.32.02.135) 58613,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (თანდართული აზომვითი და სიტუაციური ნახაზის მიხედვით) პირდაპირი განკარგვის წესით, 49 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, შემდეგი პირობებით:

- წილის მართვისა და სარგებლობის მთელი პერიოდის (49 წელი) განმავლობაში ყოველწლიურად გადაიხადოს წილის მართვის/სარგებლობის საფასური 100 000 ლარის ოდენობით;
- ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში 38 თვის ვადით წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით;
- ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში განვითარების კონცეფციის შემუშავება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის შესათანხმებლად წარდგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს:
- ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას (არანაკლებ 1200 კვ. მეტრი), სადაც განთავსდება საცხოვრებელი ფართი არანაკლებ 40 ბავშვზე, თეორიული მეცადინეობისათვის საჭირო ფართი და ტექნიკური აღჭურვილობა, მწვრთნელებისათვის საჭირო საცხოვრებელი და სამუშაო ფართები, კვების ბლოკი, სამედიცინო მომსახურების ბლოკი, საკონფერენციო დარბაზი და სავარჯიშო დარბაზი;

- ბავშვთა გუნდისათვის დამხმარე ფართს (არანაკლებ 240 კვ.მეტრი), სადაც განთავსდება გასახდელები, სანიტარული კვანძი, მოსასვენებელი ფართი, მწვრთნელებისათვის სამუშაო ფართი;

- საფეხბურთო კლუბ „დინამო ბათუმი"-სათვის შენობას (არანაკლებ 1250 კვ.მეტრი), სადაც განთავსდება ფეხბურთელთა საცხოვრებელი ფართი, კვების ბლოკი, სამედიცინო მომსახურების ბლოკი, სარეაბილიტაციო ცენტრი, თეორიული მეცადინეობისათვის საჭირო ფართი და ტექნიკური აღჭურვილობა, მწვრთნელებისათვის საჭირო საცხოვრებელი და სამუშაო ფართები, საკონფერენციო დარბაზი და სავარჯიშო დარბაზი;

- საზოგადოებრივი დანიშნულების კვების ობიექტს და მოსაცდელ დარბაზს (არანაკლებ 240 კვ.მეტრი);

- შესაბამის ინფრასტრუქტურას - ღობეებს, განათების, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემებს;

- ორი სტანდარტული ზომის საფეხბურთო მოედანს:

• ერთ ბალახის საფარიან მოედანს არანაკლებ 6825 კვ.მეტრი ფართის (105×65);

• ერთ ხელოვნურ საფარიან მოედანს არანაკლებ 6825 კვ.მეტრი ფართის (105×65);

• ორ საბავშვო ხელოვნურსაფარიან მინი მოედანს, თითოეული არანაკლებ 1800 კვ.მეტრი (60×30);

• ღია ტიპის აუზს (25×9×1,5);

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განვითარების გენერალური გეგმის (გრგ) შემუშავება.

- ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 თვის ვადაში უზრუნველყოს საპროექტო ობიექტების ვიზუალური ესკიზის (4 მხრიდან ხედი მოცულობაში, საპროექტო ობიექტების გაბარიტები, ასევე მიწის ნაკვეთზე საპროექტო ობიექტების დასმის გეგმა) მომზადება და შესათანხმებლად მესაკუთრისათვის წარდგენა;

- ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და მშენებლობის ნებართვის აღება;

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დაწყება;

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის ნულოვანი ნიშნულის დასრულება;

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში უზრუნველყოს ბავშვთა სავარჯიშო მოედნების მოწყობა/მშენებლობის დასრულება და ამოქმედება;

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 28 (ოცდარვა) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის ძირითადი მზიდი და არამზიდი კონსტრუქციის მშენებლობის დასრულება;

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულება და ამოქმედება;

- სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოს საფეხბურთო კლუბში ყოველწლიურად არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება თანამშრომელთა გასამრჯელოების, ეკიპირების, მივლინებების, შეკრებების, ფეხბურთელთა მკურნალობის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების, ევროტურნირებზე პროფესიული გუნდის მონაწილეობის, ამხანაგური თამაშებისა და სხვა საოპერაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

- უზრუნველყოს ბავშვთა ფეხბურთის აკადემიის პროფილის შენარჩუნება მუდმივად, წილის მართვისა და მთელი სარგებლობის პერიოდით და მისი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ან/და ფიფა-ს/უეფა-ს სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება;

- უზრუნველყოს საფეხბურთო კლუბის მუდმივად უეფა-ს და ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებისა და სტანდარტების მიხედვით ფუნქციონირება. კლუბი ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქართველოს ჩემპი-

ონატში მონაწილეობისათვის დადგენილი ლიცენზირება და მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ჩემპიონატებში;

- ყოველწლიურად უზრუნველყოს მესაკუთრისათვის ფინანსური ანგარიშგების და ვალდებულებების შესრულების შესახებ აუდიტორული დასკვნების წარმოდგენა. დასკვნა გაცემული უნდა იყოს აუდიტორი/აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;

- სულ პროექტისათვის განახორციელოს არანაკლებ 9 (ცხრა) მილიონი ლარის ინვესტიცია (არ იგულისხმება საფეხბურთო კლუბში ყოველწლიურად არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება).

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - საკუთრებაში გადაცემულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე და უძრავ ქონებაზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება საკუთრებაში გადაცემული არამატერიალურ ქონებრივი სიკეთის „შპს „ლამინი"-სათვის (ს/კ 445533469) 49 წლის ვადით მართვის უფლებით, ხოლო აღნიშნული საზოგადოების კაპიტალიდან გამოტანილი, ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 72626,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან და მასზე განთავსებული 2889,7 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობებიდან (ს/კ 05.32.02.135) 58613,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (თანდართული აზომვითი და სიტუაციური ნახაზის მიხედვით) პირდაპირი განკარგვის წესით, 49 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა წინამდებარე განკარგულების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში ასახული პირობებით.

გ) უძრავი ქონების დარჩენილი ნაწილი, კერძოდ 14013,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (თანდართული აზომვითი და სიტუაციური ნახაზების მიხედვით), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განიკარგოს სხვა საინვესტიციო პირობების განხორციელების მიზნით.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტს."

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადმოიგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესული წერილი №01-01-10/4332; 27.08.2019წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ სამინისტროს 2019 წლის 26 ივლისის N01-01-10/3767 კორესპონდენციით, შპს „ბათუმის დინამო“-ს 100%-იანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, პრეტენდენტი კომპანიის - შპს „ლამინი“-ს (ს/კ 445533469) განცხადებების თანახმად, ანგისის საფეხბურთო ბაზის განვითარების რეგულირების გეგმის მიხედვით, ესაჭიროება შპს „დინამო ბათუმი“-ს საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 2889,7 კვ.მ. შენობა-ნაგებობებისა (საერთო ფართი) და მათზე დამაგრებული 72626,0 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) მხოლოდ ნაწილი, კერძოდ 58613,0 კვ.მ. (წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით). გთხოვთ, დააზუსტოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში აღნიშნული პირობა უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცე-მის ნაწილში. წერილში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) დარჩენილი ნაწილი, კერძოდ 14 013 კვ.მ. ფართი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკო-ნომიკის სამინისტროს მიერ განიკარგება სხვა საინვესტიციო პირობების განხორციელების მიზნით. სამინისტრო ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონი-ლად მიიჩნევს, რომ საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება -დაზუსტება შპს „ლამინი“-სათვის სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების ნაწილში.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ შპს „ლამინი“-სათვის სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების დაზუსტება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს, შემცირდება ხარჯვითი ნაწილი.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

ე) პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
SAKREBULO OF BATUMI CITY
MUNICIPALITY

N 625-12
29/08/2019

625-12-2-201908291735

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ლაშა,

გეგზავნებათ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული (N11/456, 29.08.2019წ.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილი (N01-01-10/4332, 27.08.2019 წ.) შპს „დინამო ბათუმი"-ს 100%-ანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, შემდგომი რეაგირებისათვის.

დანართი: პირველ ადრესატს - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილი (N01-01-10/4332, 27.08.2019 წ.) 1 ფურცელზე და 5 SHP ფაილი.

პატივისცემით,

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
Batumi. L. Asatiani st. 25

ტელ: +995 (422) 27 90 01. ფაქსი: +995 (422) 27 01 96
Tel: +995 (422) 27 90 01. Fax: +995 (422) 27 01 96
E-mail: info@batumicc.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. N 119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 N 119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

4332-01-01-10-2-201908271833

N 01-01-10/4332
27/08/2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო,

როგორც გეცნობათ ჩვენი უწყების 2019 წლის 26 ივლისის N01-01-10/3767 კორესპონდენციით, შპს „ბათუმის დინამო"-ს 100%-იანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, პრეტენდენტი კომპანიის - შპს „ლამინი"-ს (ს/კ 445533469) განცხადებების თანახმად, ანგისის საფეხბურთო ბაზის განვითარების რეგულირების გეგმის მიხედვით, ესაჭიროება შპს „დინამო ბათუმი"-ს საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 2889.7 კვ.მ. შენობა-ნაგებობებისა (საერთო ფართი) და მათზე დამაგრებული 72 626 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) მხოლოდ ნაწილი, კერძოდ 58 613 კვ.მ. (წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით - თან ერთვის).

განმეორებით გთხოვთ დააზუსტოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში აღნიშნული პირობა უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის ნაწილში. აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) დარჩენილი ნაწილი, კერძოდ 14 013 კვ.მ. ფართი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განიკარგება სხვა საინვესტიციო პირობების განხორციელების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში.

დანართი: 5 SHP ფაილი

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი



მასშტაბი: 1:300

მისამართი	ქ. ბათუმი, დასახლება ანვისა	ნაკვეთის ფართობი	WGS1984_UTM37N 382 WGS1984_UTM38N 382	კვ.მ.
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი		მეტრი მეტრი რაოდენობა
პირობითი ნიშნები ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი ფიქსირებული არაფიქსირებული 01/2 შენობა-ნაგებობა, შენობის ნომერი/სართულიანობა მშენებარე ნაგებობა მიწისქვეშა ნაგებობა ვალდებულება ხაზობრივი ნაგებობა ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი დანგრეული ნაგებობა მდინარე ქარსაფარი		საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი		მირიან თაფლაძე (61009032029)
		დაინტერესებული პირი		შპს დინამო ბათუმი 245622205
		თარიღი		02/05/2019
		შენიშვნა:		

ი/მ მირიან თაფლაძე
(61009032029)
598 09 24 94
ქ.ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა №94



მისამართი	ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა	ნაკვეთის ფართობი	WGS1984_UTM37N WGS1984_UTM38N	2768 2770	კვ.მ.
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი			მეტრი მეტრი რაოდენობა

პირობითი ნიშნები

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

- ფიქსირებული
- არაფიქსირებული

012 შენობა-ნაგებობა, შენობის ნომერი/სართულიანობა

- მშენებარე ნაგებობა
- მიწისქვეშა ნაგებობა
- ვალდებულება
- დანგრეული ნაგებობა
- მდინარე
- ქარსაფარი
- ხაზობრივი ნაგებობა
- ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი		მირიან თაფლაძე (61009032029)
დაინტერესებული პირი		შპს დინამო ბათუმი 245622205
თარიღი		02/05/2019
შენიშვნა:		

ი/მ მირიან თაფლაძე
(61009032029)
598 09 24 94
ქ.ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა №94



მასშტაბი: 1:1,000 0 5 10 20 30 40 მეტრი

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა
WGS_1984_UTM_Zone_38N/37N

მისამართი	ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა	ნაკვეთის ფართობი	WGS1984_UTM37N 7445 WGS1984_UTM38N 7450	კვ.მ.
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი		მეტრი მეტრი რაოდენობა

პირობითი ნიშნები

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

- ფიქსირებული
- არაფიქსირებული
- 01/2 შენობა-ნაგებობა, შენობის ნომერი/სართულიანობა
- მშენებარე ნაგებობა
- მიწისქვეშა ნაგებობა
- ვალდებულება
- დანგრეული ნაგებობა
- მდინარე
- ქარსაფარი
- ხაზობრივი ნაგებობა
- ● ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი

ი/მ მირიან თაფლაძე
(61009032029)
598 09 24 94
ქ.ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა №94

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი		მირიან თაფლაძე (61009032029)
დაინტერესებული პირი		შპს დინამო ბათუმი 245622205
თარიღი		02/05/2019

შენიშვნა:



0 4.25 8.5 17 25.5 34

მასშტაბი: 1:800 მეტრი

WGS_1984_UTM_Zone_38N/37N

მისამართი	ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა	ნაკვეთის ფართობი	WGS1984_UTM37N 3407 WGS1984_UTM38N 3411	კვ.მ.
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი		მეტრი მეტრი რაოდენობა
		საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი		მირიან თაფლაძე (61009032029)
		დაინტერესებული პირი		შპს დინამო ბათუმი 245622205
		თარიღი		02/05/2019
		შენიშვნა:		

პირობითი ნიშნები

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

- ფიქსირებული
- არაფიქსირებული
- 012 შენობა-ნაგებობა, შენობის ნომერი/სართულიანობა
- მშენებარე ნაგებობა
- მიწისქვეშა ნაგებობა
- ვალდებულება
- დანგრეული ნაგებობა
- მდინარე
- ქარსაფარი
- ხაზობრივი ნაგებობა
- ● ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი

ი/მ მირიან თაფლაძე
(61009032029)
598 09 24 94
ქ.ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა №94



მისამართი	ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა	ნაკვეთის ფართობი	WGS1984_UTM37N 58567 WGS1984_UTM38N 58613	კვ.მ.
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი		მეტრი მეტრი რაოდენობა

პირობითი ნიშნები

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

- ფიქსირებული
- არაფიქსირებული
- 0312 შენობა-ნაგებობა, შენობის ნომერი/სართულიანობა
- მშენებარე ნაგებობა
- მიწისქვეშა ნაგებობა
- ვალდებულება
- ხაზობრივი ნაგებობა
- ● ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი
- დანგრეული ნაგებობა
- მდინარე
- ქარსაფარი

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი		მირიან თაფლაძე (61009032029)
დაინტერესებული პირი		შპს დინამო ბათუმი 245622205
თარიღი		02/05/2019
შენიშვნა:		

ი/მ მირიან თაფლაძე
(61009032029)
598 09 24 94
ქ.ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა №94

217400
217500
217600
217700
217800
217900
218000
218100
4613470
4613380
4613290
4613200
4613110
4613020
N
W
E
S
383
7450
2770
58613
3410